

ମୋହିନୀ



№4, 2014



ქსატიანი

ქათავან
ჭილაპვილი

კუდრაჭა ელენემ სახატავი რვეული გადაშალა, ფანქარი მოიმარჯვა და თავისუფლად მიუსვ-მოუსვა.

- ბიჭოს! ნაძვის ხე არ წამოჭიმა! მერე ტოტებზე დაასკუპა სპილო, დათვი, მელია...
 - ეს რა დაგიხატია, ნაძვის ხეა თუ ზოოპარკი? – თავს წამოადგა უფროსი ძმა.
 - ეს არის ზოოპარკის ნაძვის ხე! – დინჯად მიუგო ელენემ, ისე, რომ ხატვა არ შეუწყვეტია.
 - ოჟო, ბრავო მხატვარო! ბარემ შენი თავიც მიახატე, – ალერსით აუბურდა თმა დაიკოს, ბურთს დაავლო ხელი და ეზოს მიაშურა.
- ელენე ერთი კი აბუზლუნდა, მაგრამ მალე ჩატუმდა და ხატვა განაგრძო.



მხატვარი
დარეან ჭილაპვილი

ქსოიძელი

გიო ეზოში ჩავიდა სათამაშოდ და წალმა-უკუღმა ტრიალი დაიწყო. სიამოვნებდა, ადევნებული ნიავი სახეზე რომ ელამუნებოდა, მაგრამ ფეხი ფეხზე გამოედო, წაიქცა და მუხლი იტკინა. შენუხებული შინ აბრუნდა.

- რა იყო, გიო? – აფორიაქდა დედა შვილის კრუსუნზე.
- არაფერი... სულაც არ მტკივა... ვტრიალებდი და... – ჩაიბურტყუნა.
- ტრიალი რა თამაშია? ვინ მოიგონა? ჩიკორი ხომ არა ხარ?
- გაუწყრა დედა და მუხლი შეუკრა.
- ვინ მოიგონა და... დედამინამ! – ამაყად მიუგო გიომ. დედას ღიმილი მოერია.
- ჩემი თუ არ გჯერა, ჰეკითხე მამას.
- მჯერა, როგორ არა მჯერა, ჩემო ცელქო და მოუსვენარო, – მიეფერა დედა შვილს, – მაგრამ კარგად დაიმახსოვრე: ბრმად მიმბაძველობა მარცხის საწინდარია!



ჩიკორი – ხისგან გამოთლილი ძაბრის ფორმის სათამაშო, რომელიც ვერტიკალურ მდგომარეობაში ბზრიალებს.

ხელვისძინება

მოიტწევა სხივსისხამი,
ჩანს, უზომოდ უსვამს ნამი;
იქნებ ვაზის ცრემლნაჟური?
მოდის ღაწვებშეფაკლული...
სააპრილოდ მოღიმარი
ეგებება კოინდარი.



მხატვარი
როვენა გალეგია

შეჯიბრისა

- გამარჯობა!
- გაგიმარჯოს!
- შენ ვინა ხარ?
- ჭუკი ბაჯო!
- მე მაღლი ვარ -
ლექვი მურო,

წამო, ტბორი
გადავცეუროთ...
კნუტს მიანდეს მსაჯობა,
ბაჯომ მუროს
აჯობა!



მხატვარი
ლაშა სულავაშვილი

მოუჩინდე მინის ნამცხვრიერებელ თავ-თავიანთი
არგილი რა იქორე ნახსენში განანერლი ციცქიება.

ბებოს თბილი ხელი

რაო? ბებო დაეცაო? – წამოიყვირა უმცროსი ძმისკენ წამით შემობრუნებულმა ანუნიამ და შიშის-ზარდაცემულმა იკითხა, ხომ არაფერი იტკინაო?

– რა აღარაო, – აჭიკუკიდა სოფორ ტელეფონში, – მკერდი... მხარი... ფერდი... თებო... ყველაფერი დაუეუილი აქვს... სუნთქვაც უჭირს... თუ წამოახველა, ერთ სიკვდილს ათავებს. რომ შეხედო, ვერ იცნობ – შუბლზე, მარცხენა თვალთან, მუშტისტოლა კოპი აზის. თვალი ისე აქვს შეშუპებული, ვეღარც კი ახელს, მაგრამ მარტო ეგ რომ იყოს, რა უშავდა... სასწრაფო დახმარების ექიმმა თქვა, ხელი აქვს მოტეხილიო.

– რაო?! – ისევ გადაირია ანუნია, – ჩემს ბებოს ხელი აქვს მოტეხილი?

– ჰოო, – განაგრძო სოფორმ, ბებოს დის შვილიშვილმა, – ექიმებს საავადმყოფოში არ წაჟყვა, ამ შუალამისას უკან როგორდა დავბრუნდე ეს ხელმოტეხილი და დაუეუილ-დაჩეჩევილი დროული დედაკაციო.

– ხელმოტეხილიო? – გაიმეორა გაფითრებულმა ანუნიამ. პატარა, ოთხწლინახევრის ნიკისაც შიშით გაუფართოვდა თვალები: რაო, ანუნია, ბებიას ხელი აქვს მოტეხილიო?

– ჰოო, ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა გოგონამ. მეორეკლასელი სოფორ კი განაგრძობდა, – ჩვენი ამბავი ხომ იცით, ბებიაჩემი ამ ისუნტის გამო, ჯერჯერობით, ფეხზე ვერ დგება, დედა, კიდევ ბოლნისშია, ის ხომ ბოლნისელ ბავშვებს ინგლისურს ასწავლის და სალამომდე ვერ ჩამოვაო.

ანუნიას უნდოდა, შეესწორებინა, ისუნტის კი არა, ინსულტისო, მაგრამ ამის ხასიათზე არ იყო. სოფორ კი ისევ კაჭკაჭივით ჭრიალებდა: დედაშენი და მამაშენი მანქანით უნდა მოვიდნენ, ბებიაშენი მანდ წამოიყვანონ და რამე უსაშველონო. ბებიაჩემი თავს იკლავს, ღმერთო, ეს ჩემი და რაღა მაინცდამაინც მაშინ წაიქცა, ჩემს მოსახედად რომ მოვიდაო. ბებიაშენი კი წუნუნებს, ეს რა დამემართა, ამ ისედაც გასაცოდავებულ ადამიანს ახალი სადარდელი მივუმატეო.

ბებიას ხელი მოსტყდაო? ნიკი ხმას არ იღებდა, მაგრამ შეძრწუნებული იყო – ის თბილი ხელი, გემრიელ ხაჭაპურებს და ღვეზელებს რომ გვიცხობდაო? სულ რომ გვეფერებოდა და გულში გვიხუტებდაო? ფიქრობდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ატირებულიყო... აბა რა ექნა, მეზობლის მტირალა გოგოსავით ხომ არ მოიქცეოდა!

ანუნიამ დედას დაურეკა, დედამ – მამას და გასაცოდავებული, ფრთებჩამოყრილი ინდაურის ჭუკი-



მხატვარი
გალეაზ კუსაშვილი



ვით მოპუზული ბებია შინ ხელმოკიდებული მოიყვანეს. მალე სასწრაფო დახმარებაც მოვიდა. ექიმებმა ბებიასთან გააბეს საუბარი. ნიკიც თვალს არ ამორებდა დიდი უაკეტის სახელოებში ნინილებივით შეყუულ მის ხელებს. თუმცა მოტეხილი ხელის დანახვისა წინასწარვე ეშინოდა, იქაურობას მაინც არ შორდებოდა. გულისტყივილით, მაგრამ უსაშველო ცნობისმოყვარეობით შეყრობილი იდგა და ფიქრობდა, ის მოტეხილი ხელი ისევ ზედვე ჰკიდია თუ რა უყვესო...

უაკეტი გახადეთ, რომ ხელი ვნახოო, თქვა ექიმმა. უაკეტის გახდაში ბებოს თეთრხალათიანი ქალი მიეხმარა და ბიჭს ახლა ლამის სიხარულისგან წამოსცვივდა თვალები: სახვევი მოხსნეს თუ არა, დაინახა, რომ ბებოს მაჯაც ადგილზე ჰქონდა და ხელის მტევანიც. ოღონდ ეგ იყო, რომ ორივე კარგალაზათიანად შესიებოდა და დაბურცოდა, იმ ვეებერთელა კოპივით, მოხუცს მარცხენა წარბზე რომ ამოსვლოდა. ბებიამ წამოიკვნესა.

— ნუ გეშინიათ, წაგიყვანთ საავადმყოფოში, იქ ხელს რენტგენზე გადაიღებენ და რაც საჭიროა, გაგიკეთებენ. მადლობა ღმერთს, იოლად გადარჩენილხართ, ადვილად შეიძლებოდა, მენჯის ძვალი მოგტეხოდათ.

ნიკი ოთახიდან გამოიჭრა, დერეფანში შემოსასვლელ კარში გასხლტა, ლელო დეიდა, ლელო დეიდაო, აყვირდა და ცერებზე შემდგარმა მეზობლის კარზე ზარის ღილაკს თითი მიაჭირა.

ლელო დეიდამ კარი გამოაღო. ის იყო, ნიკის გაუმარჯოსო, უნდა ეთქვა, რომ ბიჭმა სხაპასხუპით მიაყარა:

— ლელო დეიდა! ბებოს ხელი არ მოსტებია, ისევ ზედა აქვს! ახლა რეგენს გადაუღებენ და მოარჩენ, — მიახარა სახეგაბრნყინებულმა და ხელი კაბის ბოლოში ჩაავლო, — თუ არ გჯერა, წამოდი, ნახე.

— მომილოცავს, ჩემო ნიკუშა, — გაუცინა ლელო დეიდამ ბიჭს, შუბლზე აკოცა, ხელი ჩასჭიდა და ბებოს სანახავად გაჰყვა.



ალექსი ნამორაძე




გამრევი გიში

დღეს ჸატარა ზურიკობ
დადგი კოხტა ქარავი.
ისე ჩასვა ბომები
არ შეელოდა არავინ.
მერე ახლოს კარავთან
ააშენა „გარაჟი“,
ცუგოც იქვე დააბა,
როგორც ღამის დარაჯი.

ପ୍ରାଚ୍ୟନ୍ଦିପଦ

გრძელდება კონკურსი „ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში“, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამწყებ საბავშვო მწერლებს, ყველას, ვისაც სურვილი აქვს წეროს პატარებისთვის. ამჯერად გთავაზობთ **ნონო ქარცივაძის** ლექსებს.



କବିତା ପରିଚୟ

- ገሮ የዕስ ተደርጓል አጥልዕስ ይመለከል
 - ፍቃድ የሚያስፈልግ የሚያስፈልግ የሚያስፈልግ የሚያስፈልግ

გარს უვლიან ჩუმ-ჩუმად
აფხორილი კნუტები
– ღიპიანებს დავესხათ,
დავუშინოთ მუშტები!

**ლამაზები ხომ არა ვართ,
ხო და, რას ვიპრანჭებით,
აბა, ერთი, რისთვის გვაქვს
ამოდენა კლანჭები?**

მართლაც ომი გამართეს,
არ დაინდეს არც ერთი,
არც ყვითელი, არც მწვანე,
არც წითელი, არც თეთრი.

ბევრი იკოტრიალეს
და იქნიეს მუშტები,
სანამ სულ არ დახეთქეს
ჭრელა-ჭრულა ბუშტები.

იპრანჭება სარკესთან
ციცქნა ჭიამაია
– კოპლიანი სამოსი
მართლაც მშვენის ძალიან.

მე და მინდვრის ყაყაჩოს,
სილამაზით განთქმულებს,
აბა, ვინ შეგვედრება
კოხტებს და მოხატულებს?

ყველას ძლიერ ვუყვარვართ,
ყველა ჩვენ გვეფერება,
დილიდან საღამომდე
ამიტომ გვემლერება.

ვალამაზებთ ბუნებას
წითელკაბიანები,
ნაზი, სიფრიფანები,
ტურფა ხალიანები.



နှေ့နှေ့





ათუეთუხე ებს ჩაიდანს. ლიონის
უასონი გიორგი ათუეთუხე ებს ჩაიდანს.

კაჭ კაჭი

გე - ჩაიდანი საიდან?

- სტუმრად ვიყავ ქალაქიში,
ვინახულე მამიდა. პოდა, როცა
ერთ დილას ბაზრობაზე წავიდა,
ზოს, რომ ყოველ დილით ჩაის ვსვამ.

ვუყვარვარ, ლამის გულში ჩამისვას.

მოიწყინა კაჭ კაჭმა, - მეც
რომ მყავდეს მამიდა, წავიდოდი
სტუმრად და მიყიდიდა
ჩაიდანს.

ლეიშ არის ეს, ლეიშ!

ანანო სიხარულიძეს

ემზარ კვიფაიშვილი

ასელის გვილოვანი

მიყვარს შენი ტიტინი,
დიტუნია, დიტო!
ისეთ ტყეს დაგიხატავ,
თვალი ვერ მოსწყვიტო.

ძებნა არ დაგვჭირდება
ფიჩისა და შეშის...
შვლებს და კურდღლებს გავუშვებთ
იმ დაბურულ ტყეში.

შენს პატარა მეგობრებს
სიამეს რომ გვრიდეს
მოვაშენებთ შოშიებს,
ხოხებსა და გვრიტებს.

სახალისოდ, ორიოდ,
გვეყოლება მელაც;
წუნკობა თუ გაბედეს,
თავს წავაცლით ხელად.

გავაჩალოთ კოცონი,
დავცხოთ დიპლიპიტო....
იფრთხიალე, იცეკვე,
ჩიტუნიავ, დიტო!

ოცდაოთხი მაისია,
სიცოცხლე და ხალისია,
ამობრნყინდა დილის მზე,
მოულოცა ანანოს,

დაბადების დღე.
მზე ანანოს დაჭხარის,
არ აცილებს თვალს,
ააშორებს ანანოს,
ბოროტსა ავს.

ოცდაოთხი მაისია,
სიცოცხლე და ხალისია,
ამობრნყინდა დილის მზე,
მოულოცა ანანოს,


დაბადების დღე.
დღეც არის და, – დღეც.

მხატვარი
ნათია გაგურიშვილი



გილოცავაზო დაგაერგოს ელექტრო!






მაუხაფე ცარიელ სმალებს პორი ისე, რომ ვერტვისლურ და
პორიზონცლურ რიგებში თრი ერთნარი სმალი არ გამეორდეს.

მაია კარსელი



კედელზე ცხენი წატია,
იატაგზე კი - ძაღლები,
მოხატულია ფანჯარა,
მოხატულია კარები.
მზე ახატია სავარძელს
და ვარსკვლავები მაგიდას,
ჭერზე დამსხდარან კურდღლები,
სხილთ გვიღიმის ჭაღიდან.
ლამის შეგვდებოს უველანი,
ჩვენც ვეღარ გადავურჩებით:
ხელში ჩაიგდო გიორგიმ
საღებავი და ფუნჯები!



„დილა“ ყველა ნომერში გვერდს
დაუთმობს საზღვარგარეთ
მცხოვრებ ქართველ ბავშვებს.
მოგვწერეთ და გამოგვიგზავნეთ
თქვენი ნამუშევრები.



საქონლები

საქართველოს ძირის შემნახულის საქართველოს მაყვანის. საქართველოში ბიბიკის სახელის მა- ლამაზე და ობილი ეკვივანტი. ძალის მიხმა- ყინას. ზოგჯერ შეიძლება - აჩვენოთ მა- ბანის ცხოველები. ამით სახლო მუხლით ჩვენი უნახული ფორმის რო- გორის დამატებითი უძველესობა.



Հովհաննես, Հովհաննես, միշտ Հովհաննես, Հովհաննես...

წერილები დანიდან

ელენე და ნიკოლოზ წაქაძეები

ബഹുമാനപ്പെട്ട

Դուք են այս աշխարհում
առօգնելի եք ու անօգնու,

საქართველო ანის ჩე- ლამაზე სახლებია, ეკ-
მი საგანძღვო საქართველოს და მთები.
თველობენ ქვეყანა - მე მუკანს საქართვე-
ნაა და ლამაზის, მე აა-ლო.

Հովհաննես շնոր

ଫୁଲଦ୍ୱାରା ଉପରେ ଥିଲା

ନିମ୍ନ ଅଂଶରେ ପାଇଁ

დეველოპმენტის მიზანის -

31.07.2013.

ତ୍ରୈଗାନବ ରମା ପାଦପାତ୍ର-
ଲୋକ ଧୂକାଳିତ ରାଜନୀତି-
ଶାଖା ଦେଶପାତାନାମିତିବା ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ
ବ୍ୟାପକ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ ରମା ପାଦପାତ୍ର-
ଲୋକ ଧୂକାଳିତ ରାଜନୀତି-
ଶାଖା ଦେଶପାତାନାମିତିବା ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ
ବ୍ୟାପକ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ ରମା ପାଦପାତ୍ର-
ଲୋକ ଧୂକାଳିତ ରାଜନୀତି-
ଶାଖା ଦେଶପାତାନାମିତିବା ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ
ବ୍ୟାପକ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ ରମା ପାଦପାତ୍ର-



ნავიდა და – ლამჩა

ნინო ბეზარაშვილი



ნავიდა ამ წუთისოფლიდან მარადი-
ულ საუფლოში უხუცესი საბავშვო მწ-
ერალი ნინო ბეზარაშვილი. იგი მარტო
მწერალი არ ყოფილა – დიდი ბებოც იყო
– ბებოს თვალითა და გულით ხედავდა
ირგვლივ ყველაფერს, ბებოს შუქსა და
სხივს ასხივებდა.

საკუთარი არც შვილი ჰყოლია და
არც შვილიშვილი, მაგრამ ნინო ბეზარაშ-
ვილი ყოველ ბავშვში თავის შვილსა და
შვილიშვილს ხედავდა მათთვის წერდა,
მათთვის იხარჯებოდა, მათთვის ცხოვ-
რობდა.

ის რომ თავის კბილა მეგობარ-მწ-
ერლებთან ერთად „დილის“ რედაქცია-
ში შემოხუსეუსდებოდა, ყველას გული
გაგვინათდებოდა – თურმე ლამაზად
დაბერებაც შესაძლებელი ყოფილა.

ქალბატონი ნინო რომ დაფსებული
მწერალი იყო, შიო მღვიმელის პრემიის
ლაურეატი, ორი ათეული წიგნის ავტო-
რი, ეს ბევრმა იცის, მაგრამ თანდაყოლილი მოკრძალებული ბუნების გამო ცოტანი თუ იცნობენ მის პი-
რად ცხოვრებას, პიროვნულ ყოფას, ამიტომაც ამ რამდენიმე წლის წინათ „დილის“ არქივიდან მისი ძველი
ავტობიოგრაფია ამოვქექეთ და აქედან ზოგ რასმე თქვენც გაგაცნობთ:

ნინო ბეზარაშვილი დაბადებულა გულ-კახეთში, გურჯაანში. მამამისი ლევანი წელმაგარი, გამრჯე
მევენახე ყოფილა, თანაც – კარგი მგალობელი. ნინოს დედა ოთხი წლისას მოუკვდა, მამამ ცოლი მოიყ-
ვანა და მწერალმა ბალლობიდანვე იგემა ობლის მწარე ლუკმა, თუმცა თავის გამზრდელისათვის სიტყვა
„დედინაცვალი“ არასდროს უკადრებია და – დედისმაგიერი მზრდიდაო, ამბობდა. ოცდაწელიდმეტში მამაც
გაუციმბირეს და ოჯახის ტვირთს თხუთმეტი წლის გოგონამაც შეუყენა თავისი სიფრიფანა მხრები. სწავ-
ლობდა დაუსწრებლად ფილოლოგის ფაკულტეტზე და თანაც მუშაობდა ჯერ უპატრონო ბავშვთა სახლ-
ში, მერე – გურჯაანის საშუალო სკოლაში. არასოდეს გათხოვილა და თავის პირველ ლექსის ისე იგონებდა,
როგორც პირველსა და უკანასკნელ სიყვარულს:

„ქიზიყში ვიყავი, ნათესავებთან... ზამთარია, იანვარი, მაგრამ მზე ანათებს, თბილა. მივუყვები ალაზ-
ნის ველს, ჩავუარე თამარის ციხე-ხორნაბუჯს... და, აი, გალავნის ძირში, ვხედავ, ბალახი ბიბინებს, იმ
სიმწვანეში დგანან თეთრად გადაპენტილი ალუბლები, ჰყვავიან... იანვარში, განა! გაოცების ენა ლექსის
ყოფილა, ამ გაოცებამ ამომათემევინა პირველი ჩემი ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „გაზაფხულია
საქართველოში, იანვარშიაც გაზაფხულია!“

ასევე საგულისხმოა ქალბატონ ნინოს მონათხრობი, თუ როგორ შექმნა თავისი პირველი მოთხრობა:
„ერთხელ დავინახე, გამორღვეულ ღობესთან სოფლის მოზრდილი ბიჭები ხუთიოდე წლის ბიჭუნას აგუ-
ლიანებდნენ – შენ გაეტევი, გაძვერი, კიტრები დაკრიფე და გამოგვიტანეო. ერთი კოჭებსა ჰპირდებოდა,
მეორე – შურდულს. მივაყურადე, ნეტა რასა იქმს ბიჭი-მეთქი. პატარამ არაფერი ინდომა: ეგ კიტრები
სხვისაა, თუ გინდათ, ჩვენებიანთ ბოსტნიდან გამოგიტანთო... რაც ვნახე და გავიგონე, დავწერე და აკი
პატარა მოთხრობასავით არ გამომივიდა!“

ასე იყო მიყურადებული ნინო ბეზარაშვილი იმთავიდან ამთავამდე ბავშვებს, ხალხს, სოფელს, მიწას...
ისე სულ ამაოდ გავისარჯეთ – მწერალ-ქალს ყველაზე ცოცხლად ის გოგო-ბიჭები ხატავენ, მის მოთხ-
რობებში რომ გაბნეულან.

რითაც დავინყეთ, იმითვე დავამთავრებთ:

წლები და ხანი – რად უნდა ამას ფარისევლობა – უკეთესისკენ როდი ცვლის ადამიანს... ამიტომაც
მივსტირით ჩვენს გაფრენილ სიყმანვილეს: „ეჭ, წუთით მაინც დაპრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სი-
ლამაზე“. მაგრამ არსებობენ ადამიანები, ძირითადად – კეთილი ხალხი, მხცოვანებას რომ დაიმშვენებენ.
განსაკუთრებით – მწერლები... მით უფრო – საყმანვილო მწერლები... აკაკი ავილოთ: ულამაზესი კაცი
გახდათ, მაგრამ წლებმა კი არ დააბერა – დაამშვენა და გააღვთაებრივა.

ნინო ბეზარაშვილიც დაამშვენა მხცოვანებამ – სული გოგონასი შეინარჩუნა და იმიტომ!

ნავიდა ჩვენგან 92 წლის გოგონა – ნინო ბეზარაშვილი, ჩვენი ტკბილი ნინო-ბებო.

ნავიდა და – დარჩა!

ურნალ „დილის“ რედაქცია

ლ ა დ დ ე ჩ ა

ერთი გამხმარი ხის ქვეშ მიწაში ჭიანჭველები ბინადრობდნენ. პატარა ჭიანჭველები ძალიან ჰავავდნენ ერთმანეთს. იმათში მხოლოდ ერთი გამოირჩეოდა, თავის და-ძმებთან შედარებით, თითქოს უფრო სწრაფად აიყარა ტანი. ერთხელ დედამ მოფერებით უთხრა:

— შენ ჩემს შვილებში ყველაზე ტანადი ხარ, რომ გაიზრდები, ღონიერი იქნებიო.

იმანაც შეიფერა დედის სიტყვა, ყოყოჩობდა, თავი მოჰქონდა, ყველაზე ღონიერი ვარო, ამიტომ და-ძმებმა ღონიერა შეარქვეს.

როცა ჭიანჭველები მოიზარდნენ, დედამ ისინი საშოვარზე გაგზავნა.


— აბა, თქვენ იცით, როგორც იყოჩალებთ და ხელსავსენი და-მიბრუნდებითო.

და-ძმანი აქეთ-იქით გაიფანტნენ: ზოგი ხეზე აცოცდა, ზოგი ბალახებში შეძვრა, ზოგიც სურნელოვან ყვავილს ეწვია. ღონიერამაც იცუცუნა, იცუცუნა და ბოლოს ერთ მინდორში ნასუფრალს წააწყდა. იქ ბლომად ეყარა პურის ნამცეცები, მაგრამ ღონიერამ ნამცეცებს ზედაც არ შეხედა. „რაღა ღონიერა ვიქნები, თუ მეც ჩვეულებრივი გამწლიკული ჭიანჭველებივით ერთ კიკნა ნამცეცს მოვიკიდებ ამ ჩემს ზორბა ზურგზეო“.

ისუნსულა ღონიერამ ნასუფრალზე, ისუნსულა და ახლა პურის ვეება ნატეხი იპოვა.

— აი, სწორედ ასეთი ტვირთი შეეფერება ჩემისთანა წარმოსადეგ ჭიანჭველასაო, — თქვა ღონიერამ, მერე პურის ნატეხის ქვეშ შეძვრა, მოიგდო ზურგზე და ჰერი... გაუდგა გზას.

პირველად მსუბუქად მიდიოდა ღონიერა, სულ არ გრძნობდა დალლას, მაგრამ ჯერ ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, რომ ტვირთი დამძიმდა,



ლოდივით დააწვა მხრებზე და სუნთქვა შეეკრა. მაინც არ გაუტყდა ჩვენი ღონიერა, ვაკეზე კიდევ კარგა ხანს ატარა პურის ნატეხი. აღმართს რომ შეუდგა, მაშინ კი გაჩერდა, გაუძნელდა ტვირთის წალება. გადასაგდებადაც არ ემეტებოდა; რომ გა-ემეტებინა კიდეც, დაღლილ-დაქანცულს იმისი თავი აღარა ჰქონდა, ეს მძიმე ბარგი მოეშორებინა ზურგიდან.

მიწაზე გართხმულმა ჭიანჭველამ ყვირილი მორთო:



– მიშველეთ, მიშველეთ, ვიჭყლიტებიო! იქვე, ბუჩქის ძირას, თურმე თაგვებს ჰქონდათ სორო. ყვირილზე ერთმა წრუნუნამ ამოყო თავი. გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა. ყვირილი კი ისმოდა და ისმოდა. საით წასულიყო, ვისთვის რა ეშველა, არ იცოდა თაგუნამ.


უცებ წრუნუნას მადის ამშლელი სურნელი ეცა. ცხვირი მიატრიალ-მოატრიალა, ყველა მხრიდან ჩაისუნთქა ჰქონდა, მიხვდა, საიდანაც მოდიოდა სუნი, მიჰყვა, მიჰყვა და პურის ნატეხს არ მიადგა!

– მიშველეთ, მიშველეთ, სახლამდე მიმატანინეთ ბარგი, თქვენს გახარება-სო! – კიდევ დაიყვირა პირქვე დამხობილმა ჭიანჭველამ.


წრუნუნას ძალიან შიოდა. პურის დანახვაზე ნერწყვი მოუვიდა.

– გიშველი, გიშველიო! – დაიძახა, პურის ლუკმას მაგრად ჩაავლო თავისი ნემსა კბილები და სოროსკენ გააქანა.

ღონიერა კი იწვა მანამდე, სანამ მისი და-ძმანი მოვიდოდნენ, წელმოწყვეტილს მხარში ამოუდგებოდნენ და შინ წაიყვანდნენ.



මස්කේබඳ



წინა ნომერში გამოქვეყნებული
გიორგი თათულიშვილის
ნახატის მიხედვით 7 წლის
ნიკოლოზ ზიდზიბაძემ
აი, ასეთი ამბავი მოიგონა და
გამოგვიგზავნა.

ზღარბი

ეს უფო



ზღარბი ტყეში მიდიოდა. უცებ ხმა შემოესმა. დაინახა ხომალდი, რომლის მსგავსი მანამდე არ ენახა. ვიღაც ტიროდა. ხმას გაჰყევა და პატარა უცხოპლანეტელს მიადგა. რა გატირებსო, ჰკითხა. მე ახალი ობიექტიდან ვარ, უფო მქვია და ძალიან მახინჯი ვარო, – უპასუხა უცხოპლანეტელმა. ზღარბი უთხრა:

– ფუტკრების მეფესთან წადი და ის მოგცემს სილამაზის წამალს, თვითონვე ამზადებს. არ ვიცი, რამე უნდა მისცე სასაცვლოდ თუ სიკეთეს გამოიჩენს და ისე მოგცემს, მაგრამ ცდად მაინც ლირს.

უცხოპლანეტელი გზას გაუდგა და ფუტკრების სამეფოს მიადგა.

– მეფე სასახლეშია? – ჰკითხა იქვე მდგარ მცველებს. აღმოჩნდა, რომ მეფე, დედოფალი და მათი ასული სასეიროდ წასულიყვნენ. მაინც რისთვის მოხვედითო? – ჰკითხეს ჯარისკაცებმა.

– მე იმისთვის მოვედი, რომ ჯადოსნური სილამაზის წამალი გამოვართვა თქვენს მეფეს.

– ოოო! ამისთვის, ალბათ, წატვრისთვალის მოტანა მოგინევთ, მაგრამ, ჯობია, მეფეს დაელოდოთ.

მეფეც დაბრუნდა. პატარა უცხოპლანეტელმა მასთან შესვლა ითხოვა.

– მეფეო, გავიგე, რომ სილამაზის წამლისთვის წატვრისთვალს ითხოვთ. მიბრძანე, სად მოვიპოვო.

– ის წატვრისთვალი ვულკანის ბზარშია ჩაჭედილი. აქამდე მისი მოპოვება ვერავინ შეძლო, შენ თუ მომიტან, სილამაზის წამალსაც მოგცემ და ჩემი ქალიშვილის გამომცხვარ ღვეზელსაც გაგატან. – მეფემ გამურული რუკა მისცა და უფოც გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ვულკანს. ვულკანი ჩამქრალი იყო, არ ზანზარებდა. ნეტა, აქ საშიში რა უნდა იყოსო, – გაიფიქრა პატარა უცხოპლანეტელმა, – ეგებ ჩემი წაცნობი ზღარბი დამეხმაროსო. წავიდა იქ, სადაც პირველად ზღარბი წახა. მას ხომალდი შეეკეთებინა და მეგობარს სიურპრიზს უმზადებდა. ზღარბმა უთხრა, როგორც კი ფეხს შედგამ იმ მთაზე, აზანზარდება და შიგ ჩაგიყოლებს, იქ ასვლა არაფრით არ შეიძლებაო.


– ერთი რამე მოვიფიქრე, მოდი, კატაპულტა გავაკეთოთ, ზედ დიდი ლიანა მივაბათ, დიდი ჯოხი მივამაგროთ და თუ მიზანში კარგად გავისვრით, წატვრისთვალი ჩვენი გახდებაო.

ასეც მოიქცნენ, წატვრისთვალი წაბზარიდან გადმოგორდა და უფოს ფეხებთან მიგორდა, მან ის მეფეს მიუტანა. მეფემ, როგორც დაპირდა, სილამაზის წამალი მისცა, მეფის ასულის გამომცხვარი ღვეზელიც გემრიელი გამოდგა, ის მეგობრებმა თანაბრად გაინაწილეს.

ეს ვარ თქმი კუჭიახვე ცხრილობრ თრილის
კომიტეტი გრიფინის გა მ-ცეფ კომიტეტი.
მაგრამ ჩიუდი მოგვა ცხრილო ის მოგვა. ჩიუდი
საცხოვო მაგრა ის მოგვა. მაგრა მაგრა ჩიუდი
საცხოვო მაგრა ის მოგვა. მაგრა მაგრა ჩიუდი
საცხოვო მაგრა ის მოგვა.



აათეათიცარაგა თავსათვეებასი



აათეათიცარაგა
თავსათვეებასი

დოკუმენტის გამოქვეყნებული

Ka

თავისუფალი გამოქვეყნებული

ლიაკო ჭურაპი



560



დილა

ISSN 0132-5965



9 770132 596009

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლოვი

ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2 ლარი